



2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ბეჭდური მედიის მონიტორინგი

11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016

«სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი» (CDI) ატარებს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების მონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2016 წლის 20 მაისიდან 2016 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით და მოიცავს 7 გამოცემას: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „გურია news“, ქრონიკა +“, „კვირის პალიტრა“.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია მედიამონიტორინგის შედეგები 11 ივლისიდან 30 აგვისტოს ჩათვლით.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი გაშუქება კვლავ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ დაეთმო;
- საკმაოდ აქტიურად შუქდებოდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა;
- მონიტორინგისთვის შერჩეული 7 გამოცემიდან 5-ში მეტ-ნაკლებად ჭარბობს უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას;

- მონიტორინგის პირველი პერიოდისგან განსხვავებით „ქრონიკა +“-ში აღარ შეიმჩნევა დადებითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ;
- ორ გამოცემაში („ალია“ და „ასავალ-დასავალი“) გამოვლინდა უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები როგორც მმართველი გუნდის, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის მიმართ;
- ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები გვხვდებოდა გამოცემებში „ალია“, „ქრონიკა +“ და „ასავალ-დასავალი“;
- ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევები სისტემატურად გვხვდება გამოცემებში „ალია“ და „ასავალ-დასავალი“;
- დაუზუსტებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები გვხვდებოდა გაზეთებში „ახალი თაობა“, „ქრონიკა +“, „ალია“ და „ასავალ-დასავალი“.

(შენიშვნა: მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილი შეფასებები ეყრდნობა მხოლოდ პოლიტიკურ სუბიექტა გაშუქების ანალიზს)

„რეზონანსი“


მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით გაზეთში „რეზონანსი“ მცირედით იმატა უარყოფითი ტონის მაჩვენებელმა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქებისას. მონიტორინგის სხვა სუბიექტების გაშუქებისას ჭარბობს ნეიტრალური ტონის მაჩვენებლები. მოცემულ პერიოდში ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები „რეზონანსში“ არ გამოვლენილა.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „რეზონანსში“ ყველაზე აქტიურად პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (28%) და მთავრობის (18%) საქმიანობა გაშუქდა. აქტიურად შუქდებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (8%) და „რესპუბლიკური პარტია“ (7%) . უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა (52%) და პარტიის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (40%) გაშუქებისას. უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ერგო პარტიას „ერთიან ნაციონალურ მოძრაობა“ (21%).

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „რეზონანსში“ ჭარბობს უარყოფითი ტონის მაჩვენებლები პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და

ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კრიტიკა გვხვდება რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. „რეზონანსის“ ჟურნალისტები არ გამოხატავენ დადებით ან უარყოფით განწყობას რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მიმართ. გამოცემაში დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

სუბიექტების გაშუქება "რეზონანსში"
ტონის მიხედვით (%)
(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



„ალია“


მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით გაზეთში „ალია“ კიდევ უფრო იმატა უარყოფითი ტონის მაჩვენებლებმა როგორც ხელისუფლებისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის, ასევე საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას. „ალიას“ ჟურნალისტები საკმაოდ ხშირად იყენებენ უკიდურესად შეურაცხყოფელ ტერმინოლოგიას სხვადასხვა პოლიტიკოსის გაშუქებისას.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (27%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (13%), ექს-პრემიერი ბიძინა ივანიშვილი (8%) და მთავრობა (8%) გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა როგორც სახელისუფლებო გუნდის, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი მონიტორინგის არც ერთ სუბიექტს არ ერგო.

„ალიაში“ სისტემატურად გვხვდებოდა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების საკმაოდ უხეში დარღვევის შემთხვევები. გაზეთის ჟურნალისტები ხშირად იყენებენ უკიდურესად შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას პოლიტიკოსების გაშუქებისას; მაგალითად: „თქვენ იცით, ხადურს თავზე თმა რატომ არ აქვს?! ვაზელინით ისეა გაპოხილი, რომ მის სკალპზე თმის ღერი აღარ ხარობს, სულ ვიდაცის უკანალშია შერჭობილი...“ („ქართულმა ოცნებამ“ შენ მოგატყუა“, 15-21 აგვისტო, გვ. 9); „ექვციც არ შეგეპაროთ, რომ ეს შემადგენლობა, თუკი, რა თქმა უნდა, გავა, უსუფოვის სამპროცენტრიანი პარლამენტის მიერ დაწყებულ ყველა ანტიქართულ საქმეს პირწმინდად დაასრულებს, - დააკანონებს ერთსქესიანთა ქორწინებას, ინცესტს, პედოფილიას და ყველა იმ გარყვნილებას, რაც დღეს დასავლეთში სუფევს...“ („შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ“, 1-7 აგვისტო, გვ.12). გაზეთი „ალია“ ღიად მოუწოდებს მკითხველს, რომ საპარლამენტო არჩევნებში ხმა არ მისცეს „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“. 8-14 და 22-28 აგვისტოს ნომრებში გვხვდებოდა აღნიშნული პარტიის საარჩევნო ციფრი გადახაზული. 22-28 აგვისტოს ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნდა სტატია სათაურით „დროა, „ქართული ოცნების“ სია დავახვიოთ და ამათ ერთ ადგილას შევთხაროთ!!!“.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაზეთში „ალია“ სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. გაზეთის ჟურნალისტები გამოირჩევიან უკიდურესად მძიმე შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენებით.

სუბიექტების გაშუქება "ალიაში"
ტონის მიხედვით (%)
(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



„კვირის პალიტრა“

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაზეთში „კვირის პალიტრა“ ჭარბობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, პრეზიდენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობების კრიტიკა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკა ძირითადად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები „კვირის პალიტრაში“ არ გამოვლენილა.


„კვირის პალიტრაში“ ყველაზე აქტიურად პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (23%), მთავრობის (14%) და პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (11%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები გამოვლინა პარტიების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (48%), პრეზიდენტის (41%), ადგილობრივი თვითმმართველობებისა (39%) და პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (22%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კვირის პალიტრაში“ დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ისევე, როგორც მონიტორინგის პირველ პერიოდში, გამოცემაში შედარებით ჭარბობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა.

სუბიექტების გაშუქება "კვირის პალიტრაში"

ტონის მიხედვით (%)

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



„ასავალ-დასავალი“

„ასავალ-დასავალი“ კვლავ გამოირჩევა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის სიხშირით. გამოცემის ჟურნალისტები სისტემატურად იყენებენ უკიდურესად შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას ამა თუ იმ პოლიტიკოსის გაშუქებისას. „ასავალ-დასავალში“ შეინიშნებოდა უკიდურესად უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, „რესპუბლიკური პარტიისა“ და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ.


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (20%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (15%), პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (14%) და პრეზიდენტის (7%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (81%), პარტიების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (78%), „რესპუბლიკური პარტია“ (67%) და პრეზიდენტის (59%) გაშუქებისას. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა საქართველოს მთავრობის (52%), პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (52%) და პრემიერ-მინისტრის (28%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები კი ერგოთ ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილს (13%), ბლოკს „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - პატრიოტთა ალიანსი - გაერთიანებული ოპოზიცია“ (7%), და პარტიას „ერთიანი საქართველოსთვის“ (4%). საგულისხმოა, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში დადებითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ერგო ვლადიმერ ბედუკაძის პარტიას „ცენტრისტები“ (21%).

„ასავალ-დასავალის“ ყველა ნომერში გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტების უხეში დარღვევის შემთხვევები. ჟურნალისტები სისტემატურად იყენებენ უკიდურესად მძიმე შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას, განსაკუთრებით პარტიების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „რესპუბლიკური პარტია“, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის და საქართველოს პრეზიდენტის გაშუქებისას. ამ უკანასკნელს, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი „გასაბერ კაცს“ უწოდებს (მაგალითად, სტატიაში „არა გეი-ქორწინებას!!!“, 15-21 აგვისტო, გვ. 1. „ასავალ-დასავალში“ სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა; მაგალითად: „გიორგი მარგველაშვილს სწორედ „ჩერგოლეიშვილი და კომპანია“ მოუწოდებენ, არ დანიშნოს რეფერენდუმი! მათ უკან კი მთელი საერთაშორისო გეი-მაფია

დასას!“ („ბატონო პრეზიდენტო, აირჩიეთ: საქართველო ან ჩერგოსტანი!“, 8-14 აგვისტო, გვ. 7).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაზეთის „ასავალ-დასავალი“ სტატიები მზადდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევით. გამოცემა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აშუქებს ცალმხრივად, ჟურნალისტთა მსჯელობა ხშირ შემთხვევებში არ არის გამყარებული სათანადოდ დადასტურებული ფაქტებით.

სუბიექტების გაშუქება "ასავალ-დასავალში"
ტონის მიხედვით (%)
(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



„ახალი თაობა“

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაზეთში „ახალ თაობა“, რამდენჯერმე შეგვხვდა დაუზუსტებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევა. გამოცემაში შედარებით ჭარბობს პარტიების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „რესპუბლიკური პარტია“, ექს-პრეზიდენტ მიხეილსააკაშვილისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის კრიტიკა.

„ახალ თაობაში“ ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (18%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (15%), მთავრობა (8%) და „ჩვენი სამშობლო“ (6%) გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ადგილობრივი თვითმმართველობების (48%), ექს-პრეზიდენტ მიხეილსააკაშვილის (48%), პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (32%), კოალიციის „ქართული ოცნება“ (32%), პრეზიდენტის (27%),


„რესპუბლიკური პარტია“ (21%) და პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (19%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ახალ თაობაში“ არაერთხელ შეგვხვდა დაუზუსტებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევა; მაგალითად: „ამბობენ, რომ სუფრას ძირითად ლეიტმოტივად ღარიბაშვილისგან მესიის შექმნის იდეა გასდევდა...“; „წყაროს ცნობით, ამის შესახებ საუბარი რესტორანში გამართულ სუფრაზეც ისმოდა.“ („ღარიბაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება?“, 19 ივლისი, გვ.4); „დაუზუსტებელი ინფორმაციით, სია შედგენილი იყო, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა შემდგენლებს თავზე გადაახია.“; „გავრცელებული ინფორმაციით, სიაში შეიყვანენ ეროვნული ფორუმის აწ უკვე ყოფილ წევრს...“; „გავრცელებული ინფორმაციით, სიაში საიმედო ადგილას იქნება ზაქარია ქუცნაშვილი...“; „გავრცელებული ინფორმაციით, მაჟორიტარებთან დაკავშირებით „ქართული ოცნება“ რესპუბლიკელებთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებას.“ („სიის მიღმა დარჩენილი მეოცნებეები სკანდალური განცხადებით იმუქრებიან“, 12 ივლისი, გვ.3).

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაზეთის „ახალი თაობა“ რვა ნომერში შეგვხვდა საკმაოდ ვრცელი ინტერვიუები ერთ კონკრეტულ პირთან, „ჩვენი სამშობლოს“ წევრ ზვიად ჩიტიშვილთან. აღნიშნული რესპონდენტი გამოირჩეოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მწვავე კრიტიკით (მაგალითად, „ნაცმოძრაობის აკრძალვის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება იწყება“, 13 ივლისი, გვ. 4; „საკავშილის ფიტულებს ყველა რეგიონში დავწვავთ“, 1 აგვისტო, გვ. 5).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაზეთში „ახალ თაობა“ შეინიშნება უარყოფითი განწყობა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებლები ერგოთ სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებსა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილსაც. გაზეთში არაერთხელ შეგვხვდა გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევა.

სუბიექტების გაშუქება "ახალ თაობაში"
 ტონის მიხედვით (%)
 (11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



„გურია news“

მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით გაზეთში „გურია news“ შემცირდა დადებითი ტონის მაჩვენებლები ადგილობრივი თვითმმართველობების გაშუქებისას, ხოლო იმატა უარყოფითი ტონის მაჩვენებელმა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქებისას. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები „გურია news“-ში არ გამოვლენილა. გამოცემაში საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა ფასიანი, სარეკლამო სტატიები.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „გურია news“-მა ყველაზე აქტიურად ადგილობრივი თვითმმართველობების (24%), პრემიერ-მინისტრისა (19%) და პრეზიდენტის (14%) საქმიანობა გააშუქა. პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე მეტი გაშუქება დაეთმო პარტიას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (11%), „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობა“ (6%) და „ეროვნულ ფორუმში“ (4%). უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ერგო პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (24%). დადებითი ან უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები არც ერთი სხვა სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.


მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავაკვანთ, რომ „გურია news“-ში არ შეინიშნება განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური

ძალის მიმართ. გაზეთში დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

სუბიექტების გაშუქება "გურია news"-ში

ტონის მიხედვით (%)

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



„ქრონიკა +“


მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით გაზეთში „ქრონიკა +“ აღარ შეიმჩნევა დადებითი განწყობა პარტიისადმი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, თუმცა კვლავ ჭარბობს უარყოფითი ტონის მაჩვენებლები სახელისუფლებო გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის გაშუქებისას. აღნიშნული სუბიექტების გაშუქებისას „ქრონიკა +“-ის ჟურნალისტები ღიად გამოხატავენ უარყოფით განწყობას, რიგ შემთხვევებში შეურაცმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებით. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გამოცემაში არაერთხელ შეგვხვდა გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევა.

„ქრონიკა +“-ში ყველაზე აქტიურად სუბიექტების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (18%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (16%) და მთავრობა (15%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (48%), კოალიციის „ქართული ოცნება“ (47%), მთავრობის (43%), ადგილობრივი თვითმმართველობების (34%) და პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (32%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი კვლავ პარტიის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (11%) გაშუქებისას გამოიკვეთა.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ქრონიკა +“-ში გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება სახვადასხვა სუბიექტის, განსაკუთრებით მმართველი გუნდის წარმომადგენლების მიმართ. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდშიც რამდენიმე სტატია დაეთმო ერთი კონკრეტული პირის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის, იოსებ გოგაშვილის კრიტიკას. აღნიშნული სუბიექტის კრიტიკისას ხშირად გვხვდებოდა შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება ჟურნალისტის მხრიდან; მაგალითად, სტატიებში „სოსო! თქვენკენ როგორი ამინდია?!“ (19 ივლისი, გვ. 7); „სოსო, მოდიხარ არჩევნებზე?“ (2 აგვისტო, გვ. 7). მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ქრონიკა +“-ში არაერთხელ შეგვხვდა ინფორმაციის საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული სტატიები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ქრონიკა +“-ში ცხადად შეინიშნება უარყოფითი განწყობა სახელისუფლებო გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ. აღნიშნული სუბიექტების გაშუქებისას რიგ შემთხვევებში ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

სუბიექტების გაშუქება "ქრონიკა +"-ში
ტონის მიხედვით (%)
(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



დასკვნა

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში შერჩეული გამოცემები ყველაზე აქტიურად კვლავ მმართველი გუნდისა და საპარლამენტო ოპოზიციის საქმიანობას აშუქებდნენ. სხვა პოლიტიკური პარტიების განსაკუთრებულად ინტენსიური გაშუქება არც ერთ

გამოცემაში არ გამოვლენილა. მონიტორინგისთვის შერჩეული 7 მედია საშუალებიდან ხუთში შეიმჩნეოდა დადებითი თუ უარყოფითი განწყობა სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიმართ. სამ გამოცემაში გვხვდება შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები ჟურნალისტთა მხრიდან. გვხვდება ინფორმაციის საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული სტატიები და ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობის შემთხვევები.

მონიტორინგის მეორე პერიოდში კიდევ უფრო იმატა შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების სიხშირემ გაზეთებში „ალია“ და „ასავალ-დასავალი“. აღნიშნულ გამოცემებში სისტემატურად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ქართული პრესის ძირითად გამოწვევებს წარმოადგენს ჟურნალისტთა მხრიდან სუბიექტური დამოკიდებულება სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიმართ, შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენება პოლიტიკოსთა გაშუქებისას, დაუსაბუთებელი მსჯელობა და მოვლენების ცალმხრივი გაშუქება.